





ცესკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის
მიერ განხორციელებული საქმიანობა
COVID-19 პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის პრიორიტეტები პანდემიის დროს

პანდემიის დაწყების დღიდან, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია სრულყოფილად იცავს და ასრულებს როგორც ქვეყანაში დადგენილ წესებსა და სარეკომენდაციო მოთხოვნებს, ისე საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და რეკომენდაციებს. საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედების ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს ბალანსის დაცვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასა და კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას შორის.

საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახდა ამომრჩევლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის და ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება.



დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა

თანამშრომლების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა, ტექნიკური და პროგრამული

უზრუნველყოფა – ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად გაიცა თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანის და ფიზიკური დისტანცირების რეკომენდაცია, რომელიც განსაკუთრებით შეეხო რისკ-ჯგუფებში შემავალ თანამშრომლებს, კერძოდ ორსულ ქალებსა და იმ პირებს, რომლებსაც აქვთ ქრონიკული დაავადება ან რაიმე სახის იმუნოდეფიციტი. სამუშაოს დისტანციურ რეჟიმში შესასრულებლად უმოკლეს დროში მოხდა თანამშრომლების აღჭურვა ტექნიკური და პროგრამული საშუალებებით.

დისტანციური სერვისები – ჩართულ მხარეებთან კომუნიკაციისას ეფექტურად გამოიყენებოდა ონლაინ პლატფორმები და იმართებოდა ონლაინ შეხვედრები.

საერთაშორისო „კარგი პრაქტიკის“ შესწავლა – საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები რეგულარულად აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში საარჩევნო სფეროში განვითარებულ მოვლენებს, მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ვებინარებსა და სხვა ონლაინ შეხვედრებში პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოების საკითხებზე.



საარჩევნო საინფორმაციო- სასწავლო პროგრამები



ცესკომ და სწავლების ცენტრმა, პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციის სრული დაცვით, განახორციელეს საარჩევნო სამოქალაქო განათლების პროგრამები: საარჩევნო განვითარების სკოლა, ახალგაზრდული ბანაკები, საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები და საარჩევნო სამართლის კურსი უმაღლეს სასწავლებლებში.

პანდემიიდან გამომდინარე, საარჩევნო პერიოდში, ჩართული მხარეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების დისტანციურ ფორმატში განხორციელდა. პროგრამის ბენეფიციარები იყვნენ: საარჩევნო სუბიექტების, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების, მედია საშუალებების წარმომადგენლები, პოტენციური კანდიდატი ქალები, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.



ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოსთან (CoE) თანამშრომლობით შემუშავდა დისტანციური სასწავლო პლატფორმა, სადაც განთავსდა შემდეგი ელექტრონული სასწავლო პროგრამები:

- ✓ „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი – საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“ – განკუთვნილი იყო საჯარო მოსამსახურეებისა და საარჩევნო საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის;
- ✓ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“ – განკუთვნილი იყო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის. აღნიშნული პროგრამა ცესკომ, სწავლების ცენტრთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიმუშავა;
- ✓ „კენჭისყრის დღის პროცედურები“ – განკუთვნილი იყო საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის. პროგრამის ფარგლებში მომხმარებლებმა მიიღეს ინფორმაცია პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე.

არჩევნებისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით გათვალისწინებულ პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

პროგრამების ხასიათიდან გამომდინარე, არჩევნებისთვის (I და II ტური) საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ტრენინგები ჩაუტარდათ პირისპირ შეხვედრების ფორმატში, პანდემიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების სრული დაცვით; საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ინსტრუქტაჟი სხვადასხვა საკითხებზე დისტანციურად განხორციელდა.



”

ხარისხის მართვის სერტიფიკატი – ცესკომ დისტანციურად გაიარა პირველი საერთაშორისო საკონტროლო აუდიტი და მიიღო განახლებული სერტიფიკატი არჩევნების მართვის სფეროში, ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის ფარგლებში.





კიბერუსაფრთხოება და კიბერ-ჰიგიენა

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის – „საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“ (EPPS) ფარგლებში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობით უზრუნველყოფა და საარჩევნო ადმინისტრაციის 100 თანამშრომლის კიბერუსაფრთხოებისა და კიბერ-ჰიგიენის მიმართულებით გადამზადება.



2020 წლის
31 ოქტომბრის
არჩევნებისთვის
(I და II ტური)
განხორციელებული
პრევენციული
ღონისძიებები

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის (I და II ტური) ცესკომ უზრუნველყო საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის სანიტარიულ-ჰიგიენური მასალებისა და პერსონალური დაცვის საშუალებების გადაცემა.

აჭარის რეგიონში, კონკრეტულ ეტაპზე რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, საარჩევნო კომისიებში ჩატარდა განსაკუთრებული პრევენციული ღონისძიებები და შენობების დამატებითი სადეზინფექციო სამუშაოები.

ვირუსის პრევენციის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები

საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნისთანავე, ცესკომ პირველ სექტემბერს მიიღო დადგენილება (№24/2020), რომლის თანახმადაც განსაზღვრა საარჩევნო კომისიების საქმიანობისთვის საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, ისე არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას.

უკვე 18 სექტემბერს, საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, ცესკომ ასევე დადგენილებით (№38/2020) განსაზღვრა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი.





კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი

ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით ცესკომ შეიმუშავა და დაადგინა 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი, რომლითაც განსაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიება და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

კენჭისყრის შენობებში შესვლის/გამოსვლის და შენობებში ყოფნის/გადაადგილებისას საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დაცული იყო შემდეგი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები:

- ✓ კენჭისყრის შენობის შესასვლელთან განთავსებული იყო დეზობარიერი და ხელის დასამუშავებელი ხსნარი, ასევე თვალსაჩინო ადგილას – ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- ✓ კენჭისყრის შენობაში არ დაიშვებოდა პირი პირბადისა და სადეზინფექციო ხსნარით ხელების დამუშავების, ასევე ტემპერატურის შემოწმების გარეშე. ტემპერატურის შემოწმება არ ეხებოდა ამომრჩეველს, ამასთან, არქონის შემთხვევაში ამომრჩეველს გადაეცემოდა პირბადე;
- ✓ კენჭისყრის კაბინების შესასვლელი ამომრჩევლისთვის ერთი (კედლის) მხრიდან იყო გახსნილი და განთავსებული იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო კენჭისყრის ფარულობის პრინციპი;

- ✓ ამომრჩეველთა შორის უბნის შესასვლელთან დაცული იყო უსაფრთხო დისტანცია;
- ✓ ამომრჩევლები იყენებდნენ ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილ კალმისტარს, რომელიც ხმის მიცემის შემდეგ თავსდება სპეციალურ კონტეინერში;
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უზრუნველყოფილი იყვნენ პირბადით, დამცავი ფარითა და ერთჯერადი ხელთათმანებით;
- ✓ პერიოდულად ხდებოდა კენჭისყრის შენობების ბუნებრივი ვენტილაცია;
- ✓ უზრუნველყოფილი იყო კენჭისყრის შენობაში ხშირად შეხებადი ზედაპირების სათანადო წესით წმენდა/დეზინფექცია გარკვეული პერიოდულობით. საარჩევნო უბნის გახსნამდე და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცესის დასრულების შემდეგ, ხდებოდა კენჭისყრის შენობის დალაგება და სადეზინფექციო ხსნარით დამუშავება. აღნიშნულ სადეზინფექციო, დასუფთავების საქმიანობას, პირველად საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკაში, ყველა საარჩევნო უბანზე ახორციელებდა კონკრეტული პირი – შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული დამლაგებელი;
- ✓ საზღვარგარეთ, 38 სახელმწიფოში შექმნილ 52 საარჩევნო უბანზე დაცული იყო ცესკოს მიერ განსაზღვრული ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი და აღნიშნული საარჩევნო უბნებისთვის საქართველოდან გაიგზავნა აუცილებელი ინვენტარი და პერსონალური დაცვის საშუალებები.

სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირებისთვის კენჭისყრის პროცედურის ორგანიზების დროს განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირების არჩევნებში (I და II ტური) მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, ცესკომ მიიღო დადგენილება (№45/2020), რომლითაც განსაზღვრა კონკრეტული წესები და პირობები. თითოეული მუნიციპალიტეტის საზღვრებში შეიქმნა სპეციალური საარჩევნო უბნები. საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი.

პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ცესკოს გადმოეცა მონაცემები სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფ პირთა შესახებ.

თვითიზოლაციაში მყოფი პირებისთვის ცესკომ შექმნა არჩევნებში (I და II ტური) გადასატანი ყუთის საშუალებით მონაწილეობის შესაძლებლობა. ამისათვის მათ უნდა მოემართათ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრისთვის და თუ ისინი ირიცხებოდნენ შესაბამისი უწყების მიერ გადმოცემულ მონაცემთა ბაზაში შეეძლოთ გადასატანი ყუთის მოთხოვნა.

დამატებით განხორციელდა სპეცჯგუფებში დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა რეგისტრაცია/აკრედიტაცია.

სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვით ცესკომ განსაზღვრა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარების, ასევე ხმის დათვლისა და სპეცჯგუფის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები.



სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები სპეცგუფებისთვის

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას, რომელიც ემსახურებოდა სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფ პირებს, სპეცგუფების მიერ დაცული იყო შემდეგი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები:

- ✓ საარჩევნო უბანში არ დაიშვებოდა პირი სათანადოდ მორგებული პირბადის, სახის დამცავი ფარის, ერთჯერადი ხალათის, ერთჯერადი ხელთათმანების გარეშე. ასევე ხდებოდა კარის სახელურების, სამუშაო მაგიდების, საარჩევნო ყუთების სათანადო წესით წმენდა და დეზინფექცია. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, ხდებოდა სპეცგუფის განთავსების ოთახების განიავება, ხოლო შენობის შესასვლელთან ხორციელდებოდა შემსვლელ პირთა თერმოსკრინინგი;
- ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები სპეცგუფის წევრები და მეთვალყურეები აღჭურვილი იყვნენ და იყენებდნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, კერძოდ სათანადოდ მორგებულ პირბადეს, სახის დამცავ ფარს, ერთჯერად ხალათს, ხელთათმანებს, ხელის სადეზინფექციო ხსნარს. გადასატანი საარჩევნო ყუთის ზედაპირი, ბინის/სახლის/ოთახის/ნომრის კარის სახელური და სხვა ზედაპირები მუშავდებოდა სადეზინფექციო ხსნარით;

- ✓ სპეცჯგუფის წევრები არ შედიოდნენ ამომრჩევლის ბინაში/სახლში/ოთახში/ნომერში. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის, საარჩევნო ბიულეტენის გადაცემა და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარდგენა ხდებოდა კონტაქტის გარეშე და დაცული იყო უსაფრთხო დისტანცია 1,5-2 მეტრი. ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენი გადაეცემოდა მხოლოდ პირბადის გამოყენებისა და ხელების სადებიზინფექციო საშუალებებით დამუშავების შემდეგ. ამომრჩეველი უზრუნველყოფილი იყო ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტრით;
- ✓ არჩევანის გაკეთების შემდეგ ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ათავსებდა ბინის შესასვლელთან განთავსებულ გადასატან საარჩევნო ყუთში, რომელიც მუშავდებოდა სადებიზინფექციო ხსნარით;
- ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, სპეცჯგუფის წევრები სათანადო წესით იმუშავებდნენ ხელებს, ასევე ხორციელდებოდა სატრანსპორტო საშუალების დებიზინფექცია.



**ავღანეთში
საქართველოს
პარლამენტის
არჩევნებისთვის
განხორციელებული
პრევენციული
ღონისძიებები**

VIRUS

COVID - 19

ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში, საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფისთვის საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების შესრულების მიზნით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფების წევრებთან მიმართებაში დაცული იყო ცესკოს მიერ დადგენილი შემდეგი წესები:

- ✓ USCENTCOM-ის დადგენილი წესების შესაბამისად სპეცჯგუფების წევრებს ჩაუტარდათ იმუნიზაცია, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;
- ✓ ავღანეთში გამგზავრებამდე და საქართველოში დაბრუნებისას მათ გაიარეს 14 დღიანი სავალდებულო კარანტინი შესაბამის საკარანტინე სივრცეში. აღნიშნული პირების ტრანსპორტირებისთვის გამოყოფილი იყო სატრანსპორტო საშუალება;
- ✓ მათ ორჯერ, ავღანეთში გამგზავრებამდე და საქართველოში დაბრუნებისას ჩაუტარდათ PCR ტესტები.

პენიტენციურ დაწესებულებაში საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები



ცესკოს დადგენილების (№43/2020), შესაბამისად, არჩევნებისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილ საარჩევნო უბნებზე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის/სპეცტაგუფის წევრებმა/დამკვირვებლებმა/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებმა გაიარეს 14 დღიანი სავალდებულო კარანტინი შესაბამის საკარანტინე სივრცეში. მათ ჩაუტარდათ PCR ტესტი. აღნიშნული პირები საკარანტინე სივრციდან ტრანსპორტით პირდაპირ გამოცხადნენ პენიტენციურ დაწესებულებაში;
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის/სპეცტაგუფის წევრებს/დამკვირვებლებს/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს, კენჭისყრის შენობის დატოვების შემთხვევაში, არ ჰქონდათ განმეორებით აღნიშნულ ან ნებისმიერ სხვა კენჭისყრის შენობაში შესვლის უფლება;
- ✓ ასევე არ შეიძლებოდა დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების ჩანაცვლება მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებული წარმომადგენლით/დამკვირვებლით;
- ✓ ისინი ვალდებული იყვნენ პენიტენციურ დაწესებულებამდე ტრანსპორტირებისას და პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას დაეცვათ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი ჰიგიენური ნორმები, ისინი აღჭურვილი იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

ინფორმირება

პანდემიის პირობებში უსაფრთხო საარჩევნო გარემოს შესახებ მოქალაქეების ინფორმირების მიზნით, ცესკომ განახორციელა აქტიური საინფორმაციო კამპანია — მომზადდა სატელევიზიო ვიდეო რგოლები, აუდიო რეკლამა რადიოსთვის, ფლაერები და შესაბამისი საინფორმაციო მასალა სოციალური ქსელებისთვის. აღნიშნულ თემაზე საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პირებმა არაერთი განცხადება გააკეთეს როგორც ცესკოში გამართულ საინფორმაციო ბრიფინგებზე, ისე სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობისას.

ცესკომ ასევე უზრუნველყო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების ინფორმირება არჩევნებში მათი მონაწილეობის წესის თაობაზე. შესაბამისი უწყების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ამომრჩევლებს ცესკომ გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებები და მოუწოდა დაეფიქსირებინათ გადასატანი ყუთის მოთხოვნა, ხოლო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და კარანტინში მყოფ მოქალაქეებს დაურიგდათ საინფორმაციო ფლაერები არჩევნებში მათი მონაწილეობის შესახებ.

თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩევლებს არჩევნებში (I და II ტური) მონაწილეობის მიზნით, შეეძლოთ სპეციალურად, დამატებით მათთვის შექმნილი ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრისთვის ზეპირი განცხადებით მიემართათ ტელეფონის ნომერზე 2 510051(0) და მოეთხოვათ გადასატანი საარჩევნო ყუთით მომსახურება.

საარჩევნო უბნებზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსდა ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის განკუთვნილი პოსტერები, რომელშიც ასახული იყო კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

ცესკოს მიერ შეძენილი სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებები

2020 წლის არჩევნების (I და II ტური) ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით ცესკოს მიერ შეძენილ იქნა შემდეგი რაოდენობის სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებები: 615 250 ცალი ერთჯერადი პირბადე, 98 900 ცალი პირბადე, 31 936 ლიტრი ხელის სადებინფექციო ხსნარი, 33 550 ლიტრი სადებინფექციო ხსნარი, 26 410 ცალი სახის დამცავი ფარი, 4 030 ცალი დეზობარიერი, 4 662 ცალი დისტანციური თერმომეტრი, 4 000 000 ცალი ერთჯერადი გამოყენებისთვის განკუთვნილი კალამი და სხვა საშუალებები.



ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მეშვეობით და საქართველოში აშშ-ის საელჩოს აქტიური მონაწილეობით 2020 წლის არჩევნების (I და II ტური) ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩატარების ხელშეწყობისთვის საარჩევნო ადმინისტრაციას დამატებით გადასცა 4 500 000 ცალი პირბადე, 48 976 ცალი სახის დამცავი ფარი, 88 310 წყვილი ლატექსის ხელთათმანი და 20 042 ლიტრი სადებინფექციო საშუალება.



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია გადლობას
უხდის თითოეულ თანამშრომელს იმ მაღალი
საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისა და
მითითებებისა და რეკომენდაციების შესრულებისთვის,
რომელმაც მისცა შესაძლებლობა ეფექტიანად მოეხდინა
ვირუსის გავრცელების შეკავება, ასევე, წარმატებით
შეესრულებინა დაგეგმილი საქმიანობა.



ცესკო

საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველო

ონკცმ

საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველო



ცესკო

საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველო